საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართი, პუნქტი 4.3 ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ 2024 წლის II კვარტლის მდგომარეობით

"სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/346 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 და მე-4 მუხლების, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული ზოგიერთი აქტივის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განკარგვის მიზნით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 08 აპრილის N483 განკარგულების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N290 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2024 წლის 12 აპრილის N50/სა ბრძანების და 2024 წლის 21 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული, 5065.58 ლარის საბალანსო ღირებულების, ასევე ნულოვანი საბალანსო ღირებულების სხვადასხვა მოძრავი ქონება (კომპიუტერული მოწყობილობები (სისტემური ბლოკი, ნოუთბუქი, მონიტორი, პროცესორი, პრინტერი, როუტერი, სერვერი, უწყვეტი კვების წყარო), საოფისე სავარძელი/სკამი, საოფისე მაგიდა, საოფისე ტუმბო, საოფისე დაფა, მაგიდის სანათი, საფოსტო ყუთი, პუფი, ფარდა-ჟალუზი) განსაკარგავად გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.